საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030649133188017

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/3564 **23 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვალდებულებები მნიშვნელოვნად იზრდება ცენტრის ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისა და არაერთი საერთაშორისო ვალდებულების წარმატებით განხორციელების პროცესში.

აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ საქართველოსა და აშშ მთავრობებს შორის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც 2018 წლამდე ეტაპობრივად, ხოლო 2018 წლის შემდგომ ქართულ მხარეს სრულად გადმოეცა პასუხისმგებლობა ლაბორატორიული ქსელის ფუნქციონირებაზე.

ასევე, 2016 წლის 15 მარტის „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ უფლებამოსილების გადაცემის ერთიანი გეგმის“ მოწონების თაობაზე“ განკარგულებით დამტკიცდა სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული გეგმით ლუგარის ცენტრის ტექნიკური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო აპარატურის და აღჭურვილობის შეძენა მთლიანად ქართული მხარის ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის საჭიროება, როგორც თქვენთვის ცნობილია, დიდ წილად მიმდინარე წელს დადგა დღის წესრიგში. აღნიშნულის შესაბამისად ლაბორატორიების გამართული მუშაობისათვის საჭიროა რამდენიმე სპეციფიური ტექნიკური მოწყობილობების შესყიდვა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, რიგი აქტივობების განსახორციელებლად 2017 წლის ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული არ არის, თუმცა „2017 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისის #1172

განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია მიმართონ მათ მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო, ამავე პუნქტით განსაზღვრული მიზნობრიობისაგან განსხვავებული მიმართულებით თანხის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2017 წლის 6 თვის სატენდერო ეკონომიამ შეადგინა სულ1 017,6 ათ. ლარი (მ.შ. აპარატი - 48,9 ათ. ლარი და პროგრამები 968,7 ათ. ლარი).

წარმოგიდგენთ, იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც ამ ეტაპზე პრიორიტეტულად მიგვაჩნია დაფინანსდეს წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე:

1. იმუნოპროფილაქტიკა წარმოადგენს მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. აღნიშნულ პროცესში საკვანძო ადგილი უკავია „ცივი ჯაჭვი“-ს პირობების მკაცრი დაცვით ვაქცინების შენახვისა და ტრანსპორტირების საკითხებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ 2013 წლის აპრილში „ცივი ჯაჭვი“-ს სისტემის ინვენტარიზაციისა და მისი ფუნქციონირების სრულფასოვანი შესწავლის საფუძველზე, განისაზღვრა საქართველოში არსებული სიმძლავრეების შესავსებად პირველ ეტაპზე კრიტიკულად საჭირო აღჭურვილობის სახეობები და რაოდენობები. საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს გამოიცა N1799 განკარგულება „საქართველოში ვაქცინების „ცივი ჯაჭვის“ სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც ცენტრს მიეცა უფლება განეხორციელებინა აღნიშნული ინვენტარის გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით გამარტივებული შესყიდვა და შესყიდული აღჭურვილობის მიწოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისათვის/სამსახურებისათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცენტრალური და რეგიონული საწყობების დონეზე არსებული „ცივი ჯაჭვის“ ინფრასტრუქტურა და განახლდა საერთო ინფრასტრუქტურის დაახლოებით 30-40%.

მოგეხსენებათ ქვეყანაში არსებული „ცივი ჯაჭვის“ ინფრასტრუქტურა პერიოდულად მოითხოვს განახლება/შევსებას, რაც უკავშირდება არსებული სიმძლავრეების მორალურ (10 წელზე მეტი ასაკი) და ფიზიკურ ცვეთას, ახალი ვაქცინების დანერგვას (როტავირუსის საწინააღმდეგო, პნევმოკოკური და პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები) და ასევე აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინების დაფასოების შემცირებიდან გამომდინარე შესანახი მოცულობების ზრდას. უახლოეს პერიოდში ცენტრი წარმოგიდგენთ ცივი ჯაჭვის სრული ინფრასტრუქტურის განახლების 3-4 წლიან გეგმას, სადაც ჩვენ სამომავლოდ განვიხილავთ სამედიცინო მომსახურების ცივი სრული ჯაჭვის განახლების პროცესში კერძო მიმწოდებლების თანამონაწილეობას (სალიცენზიო პირობების ცვლილებით) ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად.

აღნიშნული გეგმის განხილვისა და დამტკიცებამდე ამ ეტაპზე არსებული ეკონომიების ხარჯზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცივი ჯაჭვის შემდგომი კომპონენტების შესყიდვა:

- ცენტრის მიერ 2018 წლისთვის სასაწყობო მეურნეობის ახალ ლოკაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ასევე შესყიდული ვაქცინების დაფასოებიდან გამომდინარე გაზრდილ მოცულობებთან დაკავშირებით, 2017 წელს შესასყიდია 90 კუბური მეტრი ტევადობის ოთახ-მაცივარი, რომლითაც უნდა ჩანაცვლდეს ამჟამად არსებული 50 კუბური მეტრი ტევადობის კუსტარული ოთახ-მაცივარი და გაიზარდოს ცენტრალური დონის სასაწყობო მეურნეობის ტევადობა დამატებით 40 კუბური მეტრით;
- ერთი ერთეული ძაბვის რეგულატორის შესყიდვა 90 კუბური მეტრი ტევადობის ოთახ-მაცივრისათვის;
- ერთი ერთეული ავტომანქანა ვაქცინმზიდი (სავარაუდო ღირებულებით 93.4 ათასი ლარი);
- 35 ერთეული ტემპერატურული სენსორის შესყიდვა ქვეყანაში არსებული 9 ოთახ-მაცივრისთვის;
- ქვეყნის მასშტაბით ცენტრალური და რეგიონული (სჯდ ცენტრები) დონის საწყობებში არსებული 331 მაცივრისა და 9 ოთახ-მაცივრისთვის 390 ერთეული ტემპერატურის ელექტრონული ჩამწერი მოწყობილობის შესყიდვა;
- ქვეყნის მასშტაბით არსებული დანარჩენი 1149 მაცივრისა და 2159 ცივი ყუთისთვის 3308 ერთეული გაყინვის ინდიკატორის შესყიდვა;

სულ ცივი ჯაჭვის ინფრასტრუქტრურისათვის 383.4 ათასი ლარი;

2. საქართველოში დღის მდგომარეობით არ არსებობს კლინიკური ლაბორატორიების მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ლაბორატორიული სერვისების მიწოდების მონიტორინგს, რაც უკავშირდება ჰოსპიტალური ინფექციებზე კონტროლისა და ზოგადად ინფექციების, მათ შორის C ჰეპატიტის გავრცელების პრევენციის საკითხებს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობის გამო ლუგარის ცენტრს დამატებით დაევალა ჩამოაყალიბოს ხარისხის კონტროლის ერთეული კლინიკური ლაბორატორიებისათვის, კერძოდ ზოგადი ბაქტერიოლოგიის, C ჰეპატიტის მიმართულებით რათა

საბოლოოდ ჩამოყალიბდეს რეფერენს ლაბორატორიად, იგი აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყანაში ამ მიმართულებით ლაბორატორიული სამსახურის ფუნქციონირების ხარისხზე.

აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს პროცესები, კერძოდ ISO აკრედიტაციისათვის გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები.

ახალი გამოწვევებისა და პასუხისმგებლობების შემთხვევაში საჭიროა ცენტრის მატერიალურ ტექნიკური ბაზის თანდათანობით გაძლიერება, რომლის შესაბამისად ამერიკელი კოლეგების გამოცდილების გათვალისწინებით, განისაზღვრა პრიორიტეტული აუცილებლობები, კერძოდ ლაბორატორიული (ბაქტერიოლოგიური) აპარატურის შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 190,0 ათასი ლარი, ამ საკითხის მოსაგვარებლად, როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 24 აპრილს მიღებულ იქნა #184 დადგენილება, რისი მეშვეობითაც იგეგმება აღნიშნული აღჭურვილობის შესყიდვა;

3. მიმდინარე წელს დასრულდება და ექსპლუატაციაში მიიღება ცენტრის ახალი ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობები, რომლის სასაწყობე აღჭურვილობა, ოფისების კომპიუტერული ტექნიკით და საკონფერენციო დარბაზების ტექნიკური მოწყობის ვალდებულება სრულად აიღო ამერიკის მხარემ, ამასთან ახალ შენობაში გადასვლისა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭიროა საოფისე ოთახების, საკონფერენციო დარბაზების, არქივის, ბიბლიოთეკისა და სხვა ფართებისთვის საჭირო ავეჯის შეძენა, რომელიც განსახორციელებელია ცენტრის მიერ და მისი სავარაუდო ღირებულებაა 382.0 ათას ლარი;

4. რეგიონებში არსებული ცენტრის სტრუქტურული ერთეულები უდიდეს როლს ასრულებენ ცენტრის სრულყოფილი მუშაობისათვის ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით. ისინი ასევე ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლსაც წარმოადგენენ თვითმმართველ და ცენტრალურ მმართველობებს შორის, ამდენად უმნიშვნელოვანესია მათი გამართული ინფრასტრუქტურა და პირობები, კერძოდ:

- აჭარის სამმართველოს ტერიტორიაზე შესაცვლელია დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული შენობის სახურავის წყალამრიდი არხები და ნაწილობრივ მოსაწყობია წყლის გამტარი მილები. სახურავზე მოსაწყობია თოვლის შემაკავებელი თუნუქის კუთხოვანები. ასევე, შესაკეთებელია ტერიტორიის სხვადასხვა ადგილზე დაზიანებული ღობე და ეზოს ჭიშკარი, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 14.4 ათას ლარს;
- იმერეთის სამმართველოს საკონფერენციო დარბაზსა და მის მიმდებარედ სველ წერტილებში ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები, რომლის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ჯამში 24.2 ათას ლარს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნიშნული აქტივობები განხორციელდეს მიმდინარე წელს წარმოქმნილი სატენდერო ეკონომიის ფარგლებში, კერძოდ:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში 2017 წლის 6 თვეში წარმოქმნილი ეკონომიიდან 1 017.6 ათასი ლარი (მათ შორის: Iკვ. – 849.6 ათასი ლარი / IIკვ. – 168.0 ათასი ლარი) 383.4 ათასი ლარი მიიმართოს იმუნიზაციის პროგრამის კოდზე პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო, 610.6 ათასი ლარის მობილიზება მოხდეს ცენტრის „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ პროგრამულ კოდზე და მიიმართოს სხვა დანარჩენი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამასთან, თქვენი დავალების თანახმად ცენტრს ჰქონდა წინასწარი კონსულტაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

ბატონო დავით, თუ ცენტრის მიერ შემოთავაზებული წინადადებებს მისაღებად მიიჩნევთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ შუამდგომლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

დანართის სახით გიგზავნით სატენდერო ეკონომიების შესახებ ინფორმაციასა და ხარჯთაღრიცხვის გეგმის პროექტს.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე